ოქმი:**ო03. 3725142001**

თარიღი:**22/05/2025**

ოქმი № 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2025 წელი, 22 მაისი
ქ.ოზურგეთი
11:00 -12:00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ქარჩავა, მ. ვაშალომიძე, ქ. ხომერიკი, ბ. მელუა, ნ. ღაჟონია, ლ. ბიგვავა, გ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2025 წლის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ გ.ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის ძირითადი პარამეტრები, ხოლო ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო ბიუჯეტის პირველი კვარტლის შემოსულობები და ხარჯები, აღნიშნა, რომ პირველი კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობებმა წინა წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 14, 078,ი ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 25,9 %-ია, ხოლო ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 16 967,6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 31, 2 %-ია. შემოსულობებში აღსანიშნავია „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი“, რომელიც წლიური გეგმის 45,5%-ითაა შესრულებული. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრმა, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ ქონების გადასახადი მიმდინარე წლის პირველ კვარტალშიც შემოსულია ნაკლები ოდენობით, ხომ არ სჯობს ეს ფაქტი გათვალისწინებული იქნას მომავალში ბიუჯეტის დაგეგმვისას? უპასუხეს, რომ ამ დანაკლისის კომპენსაცია ხდება წინა წლის ბიუჯეტის ნაშთებით. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი